

**ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის  
შემოსულობების შესრულებისა და ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების  
ხარჯვის მდგომარეობის შესახებ**

**ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის**

**აქტი**

ქ. ფოთი

მარტი 2024 წელი

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა.“ ქვეპუნქტის, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 85-ე მუხლის, „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 31 იანვრის N1/5 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 2023 წლის 18 დეკემბრის №14/71 განკარგულების „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საფუძველზე, საკრებულოს ექსპერტ - სპეციალისტმა ა. იოსავამ შევისწავლე საკითხი „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსულობების შესრულებისა და ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯვის მდგომარეობის შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, კამერალური მეთოდით.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტი დამტკიცებულია ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის №14/49 დადგენილებით. საანგარიშო პერიოდში ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებებით და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებებით 2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში შეტანილია რიგი ცვლილებები.

**აღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის გეგმა და მისი შესრულება განისაზღვრა შემდეგნაირად:**

**სულ შემოსულობების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 43826,7 ათ. ლარს, აქედან სახეების მიხედვით:**

1. **შემოსავლების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 39720,1 ათ. ლარი, რაც მთლიანი გეგმის 90,6 პროცენტია. მათ შორის:**

- 1.1. **გადასახადები** - 22718,4 ათ. ლარი, რაც მთლიანი გეგმის 51,8 პროცენტია;
- 1.2. **გრანტები** - 11176,3 ათ. ლარი, რაც მთლიანი გეგმის 25,5 პროცენტია;
- 1.3. **სხვა შემოსავლები** - 5825,4 ათ. ლარი, რაც მთლიანი გეგმის 13,3 პროცენტია.

2. **არაფინანსური აქტივების კლების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 4106,6 ათ. ლარი, რაც მთლიანი გეგმის 9,4 პროცენტია. მათ შორის:**

- 2.1. **ძირითადი აქტივები** - 3756,6 ათ. ლარი, რაც მთლიანი გეგმის 8,5 პროცენტია;
- 2.2. **არაწარმოებული აქტივები (მიწა)** - 350,0 ათ. ლარი, რაც მთლიანი გეგმის 0,8 პროცენტია.

3. **სულ მთლიანობაში ბიუჯეტის გადასახდელების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 48546,8 ათ. ლარს. მათ შორის:**

**ხარჯები** - 35410,3 ათ. ლარი, რაც მთლიანი გეგმის 72,9 პროცენტია.

**2023 წლის დაზუსტებული გეგმებიდან გამომდინარე, გეგმები  
და მათი შესრულება განისაზღვრა შემდეგნაირად:**

2023 წლის ბიუჯეტის შემოსულობების შესრულებისა და ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯვის მდგომარეობა კვარტლების მიხედვით, შესწავლილია საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მიერ, შედეგები განხილულია საკრებულოს სხდომებზე და მიღებულია შესაბამისი განკარგულებები. აღნიშნულიდან გამომდინარე, 2023 წლის კვარტალური შედეგები წლიურ აქტში წარმოდგენილი არ არის.

**A. შემოსულობების ნაწილი**

**მთლიანობაში შემოსულობების** დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 29540,3 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად გაიზარდა 14286,4 ათ. ლარით და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 43826,7 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 55962,4 ათ. ლარი, ე.ი. 12135,7 ათ. ლარით მეტი, ანუ 127,7 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება მეტობა 23239,8 ათ. ლარით, ანუ ზრდამ შეადგინა 71,0 პროცენტი. **ნაშთი 2024 წლის 1 იანვრისათვის 4720,1 ათ. ლარი. მათ შორის:**

**I. შემოსავლები**

**შემოსავლების** დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 28940,3 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად გაიზარდა 10779,8 ათ. ლარით და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 39720,1 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 51464,8 ათ. ლარი, ე.ი. 11744,7 ათ. ლარით მეტი, ანუ 129,6 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება მეტობა 19032,0 ათ. ლარით, ანუ ზრდამ შეადგინა 58,7 პროცენტი.

**შემოსავლები სახეების მიხედვით დაიგეგმა და შესრულდა შემდეგნაირად:**

**1. გადასახადები**

**გადასახადების** დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 22471,2 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად გაიზარდა 247,2 ათ. ლარით და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 22718,4 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 25154,9 ათ. ლარი, ე.ი. 2436,5 ათ. ლარით მეტი, ანუ 110,7 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება მეტობა 3470,3 ათ. ლარით, ანუ ზრდამ შეადგინა 16,0 პროცენტი.

**გადასახადები სახეების მიხედვით დაიგეგმა და შესრულდა შემდეგნაირად:**

**1.1. ქონების გადასახადის** დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 14100,0 ათ. ლარს, საკასო შესრულებამ შეადგინა 16549,9 ათ. ლარი, ე.ი. 2449,6 ათ. ლარით მეტი, ანუ 117,4 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება მეტობა 1803,6 ათ. ლარით, ანუ ზრდამ შეადგინა 12,2 პროცენტი.

**ქონების გადასახადი სახეების მიხედვით დაიგეგმა და შესრულდა შემდეგნაირად:**

**ა) საერთოველოს საწარმოთა ქონების (გარდა მიწისა) გადასახადის** დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 12178,0 ათ. ლარს, საკასო შესრულებამ შეადგინა 14360,1 ათ. ლარი, ე.ი. 2182,1 ათ. ლარით მეტი, ანუ 117,9 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება მეტობა 1944,1 ათ. ლარით, ანუ ზრდამ შეადგინა 15,7 პროცენტი.

**ბ) უცხო საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) გადასახადის** დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 30,0 ათ. ლარს, საკასო შესრულებამ შეადგინა 73,8 ათ. ლარი, ე.ი. 43,8 ათ. ლარით მეტი,

ანუ 246,0 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება მეტობა 15,1 ათ. ლარით, ანუ ზრდამ შეადგინა 25,7 პროცენტი.

გ) ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა) გადასახადის დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 40,0 ათ. ლარს, საკასო შესრულებამ შეადგინა 173,6 ათ. ლარი, ე.ი. 133,6 ათ. ლარით მეტი, ანუ 434,0 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება მეტობა 28,8 ათ. ლარით, ანუ ზრდამ შეადგინა 19,9 პროცენტი.

დ) სასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწაზე გადასახადის დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 22,0 ათ. ლარს, საკასო შესრულებამ შეადგინა 8,0 ათ. ლარი, ე.ი. 14,0 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 36,4 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება კლება 131,6 ათ. ლარით, ანუ კლებამ შეადგინა 94,3 პროცენტი.

ე) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე გადასახადის დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 1830,0 ათ. ლარს, საკასო შესრულებამ შეადგინა 1934,1 ათ. ლარი, ე.ი. 104,1 ათ. ლარით მეტი, ანუ 105,7 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება კლება 52,8 ათ. ლარით, ანუ კლებამ შეადგინა 2,7 პროცენტი.

ვ) სხვა გადასახადები ქონებაზე გეგმით არ იყო გათვალისწინებული და არ შემოსულა.

1.2. დამატებითი ღირებულების გადასახადის დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 8371,2 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად გაიზარდა 247,2 ათ. ლარით და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 8618,4 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 8605,3 ათ. ლარი, ე.ი. 13,1 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 99,8 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება მეტობა 1666,7 ათ. ლარით, ანუ ზრდამ შეადგინა 24,0 პროცენტი.

ზემოაღნიშნული მონაცემები გვიჩვენებს გადასახადებიდან მისაღები შემოსავლების გეგმის შესრულებას 110,7 პროცენტით, დაზუსტებული გეგმა 22718,4 ათ. ლარი, საკასო შესრულება 25154,9 ათ. ლარი, ანუ 2436,5 ათ. ლარით მეტი.

## 2. გრანტები

მისაღები გრანტების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 400,0 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად გაიზარდა 10776,3 ათ. ლარით და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 11176,3 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 11167,4 ათ. ლარი, ე.ი. 8,9 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 99,9 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება მეტობა 5812,2 ათ. ლარით, ანუ ზრდამ შეადგინა 108,5 პროცენტი.

გრანტები სახეების მიხედვით დაიგეგმა და შესრულდა შემდეგნაირად:

2.1. საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობიდან მიღებული გრანტები გეგმით არ იყო გათვალისწინებული, ცვლილებების შედეგად დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 81,8 ათ. ლარი, რაც სრულად დაფინანსდა. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება კლება 32,5 ათ. ლარით, ანუ კლებამ შეადგინა 28,4 პროცენტი.

2.2. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერის დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 400,0 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად გაიზარდა 10694,5 ათ. ლარით და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 11094,5 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 11085,6 ათ. ლარი, ე.ი. 8,9 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 99,9 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება მეტობა 5844,7 ათ. ლარით, ანუ ზრდამ შეადგინა 111,5 პროცენტი. მათ შორის:

ა) მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 400,0 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად გაიზარდა 61,4 ათ. ლარით და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 461,4 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 455,5 ათ. ლარი, ე.ი. 5,9 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 98,7 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება მეტობა 118,8 ათ. ლარით, ანუ ზრდამ შეადგინა 35,3 პროცენტი.

ბ) რეგიონების ფონდების განაწილება გეგმით არ იყო გათვალისწინებული, ცვლილებების შედეგად გეგმა დამტკიცდა 8740,7 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 9459,1 ათ. ლარი, ე.ი.

718,4 ათ. ლარით მეტი, ანუ 108,2 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება მეტობა 9109,1 ათ. ლარით, ანუ ზრდამ შეადგინა 2702,6 პროცენტი.

გ) სხვა პროექტები გეგმით არ იყო გათვალისწინებული, ცვლილებების შედეგად გეგმა დამტკიცდა 892,4 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 171,0 ათ. ლარი, ე.ი. 721,4 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 19,2 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება კლება 4383,2 ათ. ლარით.

დ) ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის და სხვა მიმდინარე ღონისძიებების დაფინანსება გეგმით არ იყო გათვალისწინებული, ცვლილებების შედეგად გეგმა დამტკიცდა 1000,0 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 1000,0 ათ. ლარი, ანუ 100,0 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება მეტობა 1000,0 ათ. ლარით.

ზემოაღნიშნული მონაცემები გვიჩვენებს გრანტიდან მისაღები შემოსავლების გეგმის შესრულებას 99,9 პროცენტით, დაზუსტებული გეგმა 11176,3 ათ. ლარი, საკასო შესრულება 11167,4 ათ. ლარი, ანუ 8,9 ათ. ლარით ნაკლები.

### 3. სხვა შემოსავლები

სხვა შემოსავლების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 6069,1 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად შემცირდა 243,7 ათ. ლარით და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 5825,4 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 15142,5 ათ. ლარი, ე.ი. 9317,1 ათ. ლარით მეტი, ანუ 259,9 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება მეტობა 9749,5 ათ. ლარით, ანუ ზრდამ შეადგინა 180,8 პროცენტი.

#### სხვა შემოსავლები სახეების მიხედვით დაიგეგმა და შესრულდა შემდეგნაირად:

3.1. საკუთრებიდან მისაღები შემოსავლების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 4360,0 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად შემცირდა 673,7 ათ. ლარით და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 3686,3 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 3548,3 ათ. ლარი, ე.ი. 138,0 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 96,3 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება მეტობა 287,4 ათ. ლარით, ანუ ზრდამ შეადგინა 8,8 პროცენტი.

#### მათ შორის:

ა) პროცენტებიდან მისაღები შემოსავლების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 550,0 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად გაიზარდა 326,3 ათ. ლარით და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 876,3 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 1012,0 ათ. ლარი, ე.ი. 135,7 ათ. ლარით მეტი, ანუ 115,5 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება მეტობა 322,5 ათ. ლარით, ანუ ზრდამ შეადგინა 46,8 პროცენტი.

ბ) დივიდენდებიდან მისაღები შემოსავლები გეგმით არ იყო გათვალისწინებული და ფაქტიურად არც ჩარიცხულა.

გ) რენტიდან მისაღები შემოსავლების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 3810,0 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად შემცირდა 1000,0 ათ. ლარით და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 2810,0 ათ. ლარი, ფაქტიურად ჩაირიცხა 2536,3 ათ. ლარი, ე.ი. 273,7 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 90,3 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება კლება 35,1 ათ. ლარით, ანუ კლებამ შეადგინა 1,4 პროცენტი. აქედან:

გ.ა) ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლიდან მისაღები შემოსავლების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 3750,0 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად შემცირდა 1000,0 ათ. ლარით და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 2750,0 ათ. ლარი, ფაქტიურად ჩაირიცხა 2443,0 ათ. ლარი, ე.ი. 307,0 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 88,8 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება კლება 47,6 ათ. ლარით, ანუ კლებამ შეადგინა 1,9 პროცენტი.

გ.ბ) მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან მისაღები შემოსავლების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 60,0 ათ. ლარს, ფაქტიურად ჩაირიცხა 93,3 ათ. ლარი, ე.ი. 33,3 ათ. ლარით მეტი, ანუ 155,5 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება მეტობა 12,5 ათ. ლარით, ანუ ზრდამ შეადგინა 15,5 პროცენტი.

გ.გ) სხვა არაკლასიფიცირებული რენტეიდან მისაღები შემოსავლები გეგმით არ იყო გათვალისწინებული და ფაქტიურად არც ჩარიცხულა.

3.2. საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან მისაღები შემოსავლების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 709,1 ათ. ლარს, ფაქტიურად ჩაირიცხა 856,2 ათ. ლარი, ე.ი. 147,1 ათ. ლარით მეტი, ანუ 120,7 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება მეტობა 26,1 ათ. ლარით, ანუ ზრდამ შეადგინა 3,1 პროცენტი.

მათ შორის:

ა) ადმინისტრაციული მოსაკრებლებისა და გადასახდელების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 689,1 ათ. ლარს, ფაქტიურად ჩაირიცხა 837,3 ათ. ლარი, ე.ი. 148,2 ათ. ლარით მეტი, ანუ 121,5 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება მეტობა 25,6 ათ. ლარით, ანუ ზრდამ შეადგინა 3,2 პროცენტი. აქედან:

ა.ა) სანებართვო მოსაკრებლიდან მისაღები შემოსავლების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 50,0 ათ. ლარს, ფაქტიურად ჩაირიცხა 113,5 ათ. ლარი, ე.ი. 63,5 ათ. ლარით მეტი, ანუ 227,0 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება კლება 80,2 ათ. ლარით.

ა.ბ) სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი გეგმით არ იყო გათვალისწინებული, ფაქტიურად ჩაირიცხა 2,4 ათ. ლარი.

ა.გ) სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლიდან მისაღები შემოსავლების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 30,0 ათ. ლარს, ფაქტიურად ჩაირიცხა 0,1 ათ. ლარი.

ა.დ) დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის ადგილობრივი მოსაკრებლის დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 609,1 ათ. ლარს, ფაქტიურად ჩაირიცხა 721,3 ათ. ლარი, ე.ი. 112,2 ათ. ლარით მეტი, ანუ 118,4 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება მეტობა 103,3 ათ. ლარით, ანუ ზრდამ შეადგინა 16,7 პროცენტი.

ბ) არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურებიდან (შემოსავალი მომსახურების გაწევიდან) მისაღები შემოსავლების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 20,0 ათ. ლარს, ფაქტიურად ჩაირიცხა 18,9 ათ. ლარი, ე.ი. 1,1 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 94,5 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება მეტობა 0,5 ათ. ლარით, ანუ ზრდამ შეადგინა 2,7 პროცენტი.

3.3. ჯარიმებიდან, სანქციებიდან და საურავებიდან მისაღები შემოსავლების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 1000,0 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად გაიზარდა 100,0 ათ. ლარით და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 1100,0 ათ. ლარი, ფაქტიურად ჩაირიცხა 1235,7 ათ. ლარი, ე.ი. 135,7 ათ. ლარით მეტი, ანუ 112,3 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება მეტობა 137,6 ათ. ლარით, ანუ ზრდამ შეადგინა 12,5 პროცენტი.

3.4. ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარეშე - შემოსავლები გეგმით არ იყო გათვალისწინებული და ფაქტიურად არც ჩარიცხულა.

3.5. ტრანსფერებიდან რომლებიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული მისაღები შემოსავლების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 330,0 ათ. ლარს, ფაქტიურად ჩაირიცხა 9502,3 ათ. ლარი, ე.ი. 9172,3 ათ. ლარით მეტი, ანუ 2879,5 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება მეტობა 9298,4 ათ. ლარით.

სხვა შემოსავლების მონაცემები გვიჩვენებს მისაღები შემოსავლების გეგმის შესრულებას 259,9 პროცენტით, დაზუსტებული გეგმა 5825,4 ათ. ლარი, საკასო შესრულება 15142,5 ათ. ლარი, ე.ი. 9317,1 ათ. ლარით მეტი.

მთლიანობაში შემოსავლების მონაცემები გვიჩვენებს მისაღები შემოსავლების გეგმის შესრულებას 129,6 პროცენტით, დაზუსტებული გეგმა 39720,1 ათ. ლარი, საკასო შესრულება 51464,8 ათ. ლარი, ე.ი. 11744,7 ათ. ლარით მეტი.

## II. არაფინანსური აქტივების კლება

არაფინანსური აქტივების კლებიდან მისაღები შემოსავლების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 600,0 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად გაიზარდა 3506,6 ათ. ლარით და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 4106,6 ათ. ლარი, ფაქტიურად ჩაირიცხა 4497,6 ათ. ლარი, ე.ი. 391,0 ათ. ლარით მეტი, ანუ 109,5 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება მეტობა 4207,8 ათ. ლარით, ანუ ზრდამ შეადგინა 1452,0 პროცენტი.

არაფინანსური აქტივების კლება დაიგეგმა და შესრულდა შემდეგნაირად:

1. ძირითადი აქტივებიდან (კაპიტალის გაყიდვა) მისაღები შემოსავლების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 100,0 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად გაიზარდა 3656,6 ათ. ლარით და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 3756,6 ათ. ლარი, ფაქტიურად ჩაირიცხა 4106,9 ათ. ლარი, ე.ი. 350,3 ათ. ლარით მეტი, ანუ 109,3 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება კლება 2804,3 ათ. ლარით, ანუ კლებამ შეადგინა 98,2 პროცენტი.

2. არაწარმოებული აქტივებიდან მისაღები (მიწის გაყიდვა) შემოსავლების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 500,0 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად შემცირდა 150,0 ათ. ლარით და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 350,0 ათ. ლარი, ფაქტიურად ჩაირიცხა 390,3 ათ. ლარი, ე.ი. 40,3 ათ. ლარით მეტი, ანუ 111,5 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება მეტობა 151,5 ათ. ლარით, ანუ ზრდამ შეადგინა 63,4 პროცენტი.

შემოდანიშნული მონაცემები გვიჩვენებს არაფინანსური აქტივების კლებიდან მისაღები შემოსავლების შესრულებას 109,5 პროცენტით, დაზუსტებული გეგმა 4106,6 ათ. ლარი, საკასო შესრულება 4497,6 ათ. ლარი, ე.ი. 391,0 ათ. ლარით მეტი.

### III. ფინანსური აქტივების კლება (საშინაო)

ფინანსური აქტივების კლება (საშინაო) გეგმით გათვალისწინებული არ ყოფილა და არც შემოსულა.

IV. ვალდებულებების ზრდა (საშინაო) - გეგმით გათვალისწინებული არ ყოფილა და არც შემოსულა.

სულ შემოსულობების მონაცემები გვიჩვენებს შემოსულობების გეგმის შესრულებას 127,7 პროცენტით, დაზუსტებული გეგმა 43826,7 ათ. ლარი, საკასო შესრულება 55962,4 ათ. ლარი, ე.ი. 12135,7 ათ. ლარით მეტი.

ნაშთი 2024 წლის 1 იანვრისათვის 4720,1 ათ. ლარი.

### B. ბიუჯეტის გადასახდელების ნაწილის დაფინანსება დაიგეგმა და განხორციელდა შემდეგნაირად:

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 29540,3 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად გაიზარდა 19006,5 ათ. ლარით და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 48546,8 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 46138,8 ათ. ლარი, ე.ი. 2408,0 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 95,0 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება მეტობა 9541,1 ათ. ლარით, ანუ ზრდამ შეადგინა 26,1 პროცენტი.

ბიუჯეტის ასიგნება ორგანიზაცია - დაწესებულებებისა და დარგების მიხედვით შემდეგი მონაცემებით ხასიათდება:

#### I. მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯების დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 7671,6 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად გაიზარდა 1854,6 ათ. ლარით და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 9536,2 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 9094,8 ათ. ლარი, ე.ი. 441,4 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 95,4 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება მეტობა 2077,5 ათ. ლარით, ანუ ზრდამ შეადგინა 29,6 პროცენტი.

მათ შორის:

1. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადასახდელების დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 2010,5 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად გაიზარდა 149,0 ათ. ლარით და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 2159,5 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 1931,8 ათ. ლარი, ე.ი. 227,7 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 89,5 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება მეტობა 152,5 ათ. ლარით, ანუ ზრდამ შეადგინა 8,6 პროცენტი.

2. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის გადასახდელების დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 4356,3 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად გაიზარდა 1822,9 ათ. ლარით და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 6179,2 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 6002,3 ათ. ლარი, ე.ი. 176,9 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 97,1 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება მეტობა 1390,4 ათ. ლარით, ანუ ზრდამ შეადგინა 30,1 პროცენტი.

3. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მოზილიზაციის სამსახურის გადასახდელების დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 170,0 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად გაიზარდა 4,0 ათ. ლარით და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 174,0 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 158,2 ათ. ლარი, ე.ი. 15,8 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 90,9 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება მეტობა 15,6 ათ. ლარით, ანუ ზრდამ შეადგინა 10,9 პროცენტი.

4. სარეზერვო ფონდიდან გასაწევი ხარჯების დაფინანსების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 180,0 ათ. ლარს, საიდანაც განაწილდა 179,6 ათ. ლარი.

5. წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფის თანხების დაფინანსების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 16,3 ათ. ლარს, აღნიშნულ თანხებზე მოთხოვნა არ ყოფილა.

6. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურება და დაფარვის გადასახდელების დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 964,8 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად გაიზარდა 42,0 ათ. ლარით და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 1006,8 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 1002,5 ათ. ლარი, ე.ი. 4,3 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 99,6 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება მეტობა 519,0 ათ. ლარით, ანუ ზრდამ შეადგინა 107,3 პროცენტი.

მთლიანობაში მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯების დაფინანსების მონაცემები გვიჩვენებს გადასახდელების დაფინანსებას 95,4 პროცენტით, დაზუსტებული გეგმა 9536,2 ათ. ლარი და საკასო შესრულება 9094,8 ათ. ლარი, ე.ი. 441,4 ათ. ლარით ნაკლები.

## II. ინფრასტრუქტურის განვითარება

ინფრასტრუქტურის განვითარებასთან დაკავშირებული საქმიანობის გადასახდელების დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 5956,9 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად გაიზარდა 11822,7 ათ. ლარით და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 17779,6 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 16545,8 ათ. ლარი, ე.ი. 1233,8 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 93,1 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება მეტობა 3950,5 ათ. ლარით, ანუ ზრდამ შეადგინა 31,4 პროცენტი. მათ შორის:

1. საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 608,7 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად გაიზარდა 8631,5 ათ. ლარით და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 9240,2 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 8405,5 ათ. ლარი, ე.ი. 834,7 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 91,0 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან

შედარებით შეინიშნება მეტობა 3162,5 ათ. ლარით, ანუ ზრდამ შეადგინა 90,3 პროცენტი. აქედან:

1.1. გზების კაპიტალური შეკეთების დაფინანსება გეგმით არ იყო გათვალისწინებული, ცვლილებების შედეგად დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 7401,4 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 6665,8 ათ. ლარი, ე.ი. 735,6 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 90,1 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება მეტობა 3696,4 ათ. ლარით, ანუ ზრდამ შეადგინა 78,5 პროცენტი.

1.2. გზების მიმდინარე შეკეთების დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 100,0 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად გაიზარდა 333,1 ათ. ლარით და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 433,1 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 379,2 ათ. ლარი, ე.ი. 53,9 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 87,6 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება კლება 268,6 ათ. ლარით.

1.3. საგზაო ნიშნები და უსაფრთხოების სამუშაოების დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 60,0 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად გაიზარდა 833,3 ათ. ლარით და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 893,3 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 849,0 ათ. ლარი, ე.ი. 44,3 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 95,0 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება მეტობა 755,8 ათ. ლარით, ანუ ზრდამ შეადგინა 810,9 პროცენტი.

1.4. ქუჩების სარემონტო სამუშაოების დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 448,7 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად გაიზარდა 63,7 ათ. ლარით და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 512,4 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 511,5 ათ. ლარი, ე.ი. 0,9 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 99,8 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება მეტობა 46,7 ათ. ლარით, ანუ ზრდამ შეადგინა 10,0 პროცენტი.

2. გარე განათების ხარჯების დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 670,8 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად გაიზარდა 348,0 ათ. ლარით და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 1018,8 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 988,7 ათ. ლარი, ე.ი. 30,1 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 97,0 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება კლება 18,4 ათ. ლარით, ანუ კლებამ შეადგინა 1,8 პროცენტი. აქედან:

2.1. გარე განათების ელ. ენერჯის ხარჯების ანაზღაურების გადასახდელების დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 500,0 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად გაიზარდა 200,0 ათ. ლარით და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 700,0 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 676,8 ათ. ლარი, ე.ი. 23,2 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 96,7 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება კლება 29,8 ათ. ლარით, ანუ კლებამ შეადგინა 4,2 პროცენტი. სს „ეპ ჯორჯია მიწოდებას“ გადაერიცხა 676,8 ათ. ლარი გარე განათების ელ. ენერჯის ღირებულება.

2.2. გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობის ხარჯების ანაზღაურების გადასახდელების დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 170,8 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად გაიზარდა 145,5 ათ. ლარით და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 316,3 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 309,5 ათ. ლარი, ე.ი. 6,8 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 97,9 პროცენტი (სამუშაოები შესრულდა სერვისების ცენტრმა). გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება მეტობა 104,1 ათ. ლარით, ანუ ზრდამ შეადგინა 50,7 პროცენტი.

2.3. კაპიტალური დაბანდებები გარე განათების სფეროში გეგმით არ იყო გათვალისწინებული, ცვლილებების შედეგად დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 2,5 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 2,4 ათ. ლარი, ე.ი. 0,1 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 96,0 პროცენტი.

3. სანიაღვრე არხებისა და სატუმბო სადგურების მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის ხარჯების დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 1021,8 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად გაიზარდა 47,2 ათ. ლარით და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 1069,0 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 1046,1 ათ. ლარი, ე.ი. 22,9 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 97,9 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება კლება 786,8 ათ. ლარით, ანუ კლებამ შეადგინა 42,9 პროცენტი. აქედან:



3.1. სატუმზო სადგურების ელ. ენერჯის ხარჯების დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 50,0 ათ. ლარს, საკასო შესრულებამ შეადგინა 42,0 ათ. ლარი, ე.ი. 8,0 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 84,0 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება მეტობა 0,7 ათ. ლარით, ანუ ზრდამ შეადგინა 1,7 პროცენტი. სს „ეპ ჯორჯია მიწოდებას“ გადაერიცხა 42,0 ათ. ლარი სატუმზო სადგურების ელ. ენერჯის ღირებულება.

3.2. სანიაღვრე არხებისა და სატუმზო სადგურების მოვლა პატრონობის ხარჯების დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 821,8 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად გაიზარდა 35,7 ათ. ლარით და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 857,5 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 843,4 ათ. ლარი, ე.ი. 14,1 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 98,4 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება მეტობა 287,7 ათ. ლარით, ანუ ზრდამ შეადგინა 51,8 პროცენტი.

3.3. სანიაღვრე არხების მოწყობა, სატუმზო სადგურების მშენებლობა-რეაბილიტაციის ხარჯების დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 150,0 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად გაიზარდა 11,5 ათ. ლარით და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 161,5 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 160,7 ათ. ლარი, ე.ი. 0,8 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 99,5 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება კლება 815,3 ათ. ლარით, ანუ კლებამ შეადგინა 83,5 პროცენტი.

4. ბინათმშენებლობის გადასახდელების დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 611,9 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად გაიზარდა 2150,2 ათ. ლარით და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 2762,1 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 2655,3 ათ. ლარი, ე.ი. 106,8 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 96,1 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება მეტობა 367,6 ათ. ლარით, ანუ ზრდამ შეადგინა 16,1 პროცენტი. აქედან:

4.1. მრავალსართულიანი ს/სახლების ფასადების, სახურავებისა და სადარბაზოების რეაბილიტაციის დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 100,0 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად გაიზარდა 2044,5 ათ. ლარით და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 2144,5 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 2109,5 ათ. ლარი, ე.ი. 35,0 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 98,4 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება მეტობა 98,7 ათ. ლარით, ანუ ზრდამ შეადგინა 4,9 პროცენტი.

4.2. მრავალსართულიანი ს/სახლების ლიფტების რეაბილიტაცია, ექსპლუატაციის ხარჯების დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 200,0 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად გაიზარდა 121,8 ათ. ლარით და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 321,8 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 252,1 ათ. ლარი, ე.ი. 69,7 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 78,3 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება მეტობა 243,3 ათ. ლარით, ანუ ზრდამ შეადგინა 2764,8 პროცენტი.

4.3. საბინაო ფონდის მოვლა-პატრონობის ხარჯების დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 311,9 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად შემცირდა 16,1 ათ. ლარით და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 295,8 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 293,7 ათ. ლარი, ე.ი. 2,1 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 99,3 პროცენტი (სამუშაოები შეასრულა სერვისების ცენტრმა). გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება მეტობა 25,6 ათ. ლარით, ანუ ზრდამ შეადგინა 9,5 პროცენტი.

5. მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობების რეაბილიტაცია და ექსპლუატაციის დაფინანსება გეგმით არ იყო გათვალისწინებული, ცვლილებების შედეგად დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 102,7 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 99,4 ათ. ლარი, ე.ი. 3,3 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 96,8 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება კლება 202,5 ათ. ლარით, ანუ კლებამ შეადგინა 68,1 პროცენტი.

6. კუთილმოწყობის ღონისძიებების დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 356,3 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად გაიზარდა 951,6 ათ. ლარით და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 1307,9 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 1226,9 ათ. ლარი, ე.ი. 81,0 ათ. ლარით

ნაკლები, ანუ 93,8 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება მეტობა 159,5 ათ. ლარით, ანუ ზრდამ შეადგინა 14,9 პროცენტი. აქედან:

6.1. საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია-ექსპლოატაციის ხარჯების დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 200,0 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად გაიზარდა 948,4 ათ. ლარით და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 1148,4 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 1067,4 ათ. ლარი, ე.ი. 81,0 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 92,9 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება მეტობა 142,0 ათ. ლარით, ანუ ზრდამ შეადგინა 15,3 პროცენტი. სხვადასხვა ორგანიზაციებს გადაერიცხა 925,4 ათ. ლარი.

6.2. სასაფლაოების მოვლა-პატრონობის სამუშაოების დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 156,3 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად გაიზარდა 3,2 ათ. ლარით და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 159,5 ათ. ლარი, რაც სრულად დაფინანსდა. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება მეტობა 17,5 ათ. ლარით, ანუ ზრდამ შეადგინა 12,3 პროცენტი.

7. სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების ხარჯების დაფინანსების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 300,0 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად შემცირდა 57,4 ათ. ლარით და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 242,6 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 209,9 ათ. ლარი, ე.ი. 32,7 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 86,5 პროცენტი.

8. ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობის პროექტირების ხარჯების დაფინანსების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 500,0 ათ. ლარს, რაც ცვლილებების შედეგად სრულად შემცირდა.

9. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტირების თანადაფინანსების ხარჯების დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 350,0 ათ. ლარს, რაც ცვლილებების შედეგად სრულად შემცირდა.

10. სერვისების ცენტრის ხელშეწყობის სამუშაოების დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 417,4 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად გაიზარდა 69,9 ათ. ლარით და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 487,3 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 485,9 ათ. ლარი, ე.ი. 1,4 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 99,7 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება მეტობა 21,4 ათ. ლარით, ანუ ზრდამ შეადგინა 4,6 პროცენტი.

11. ცენტრალური პარკის ხელშეწყობის ხარჯების დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 660,0 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად გაიზარდა 396,0 ათ. ლარით და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 1056,0 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 949,0 ათ. ლარი, ე.ი. 107,0 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 89,9 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება მეტობა 427,2 ათ. ლარით, ანუ ზრდამ შეადგინა 81,9 პროცენტი.

12. მუნიციპალური ინსპექციის ხელშეწყობის ხარჯების დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 460,0 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად გაიზარდა 33,0 ათ. ლარით და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 493,0 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 479,1 ათ. ლარი, ე.ი. 13,9 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 97,2 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება მეტობა 246,5 ათ. ლარით, ანუ ზრდამ შეადგინა 106,0 პროცენტი.

ინფრასტრუქტურის (მშენებლობა) განვითარების სამუშაოებს 2024 წლის 1 იანვრისათვის  
ერიცხებოდა:

- ა) დებიტორული დავალიანება - 973743,83 ლარი;
- ბ) კრედიტორული დავალიანება - 128938,05 ლარი.

მთლიანობაში ინფრასტრუქტურის განვითარების სფეროს დაფინანსების მონაცემები გვიჩვენებს გადასახდელების დაფინანსებას 93,1 პროცენტით, დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 17779,6 ათ. ლარს, საკასო შესრულებამ შეადგინა 16545,8 ათ. ლარი, ე.ი. 1233,8 ათ. ლარით ნაკლები.

#### IV. დასუფთავება და გარემოს დაცვა

დასუფთავებისა და გარემოს დაცვის გადასახდელების დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 2606,8 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად გაიზარდა 334,6 ათ. ლარით და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 2941,4 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 2919,6 ათ. ლარი, ე.ი. 21,8 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 99,3 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება მეტობა 304,9 ათ. ლარით, ანუ ზრდამ შეადგინა 11,7 პროცენტი.

მათ შორის:

1. დასუფთავება და ნარჩენების გატანის სამუშაოების დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 1729,6 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად გაიზარდა 226,5 ათ. ლარით და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 1956,1 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 1946,4 ათ. ლარი, ე.ი. 9,7 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 99,5 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება მეტობა 213,9 ათ. ლარით, ანუ ზრდამ შეადგინა 12,3 პროცენტი.

2. დასუფთავების მოსაკრებლის ადმინისტრირების გადასახდელების დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 135,1 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად შემცირდა 2,9 ათ. ლარით და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 132,2 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 131,9 ათ. ლარი, ე.ი. 0,3 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 99,8 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება მეტობა 5,6 ათ. ლარით, ანუ ზრდამ შეადგინა 4,4 პროცენტი.

3. გამწვანების სამუშაოების (მრავალწლიანი ხის ნარგავების შესყიდვა) გადასახდელების დაფინანსება გეგმით არ იყო გათვალისწინებული.

4. გამწვანებული ტერიტორიების მოვლა - პატრონობის სამუშაოების დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 575,1 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად გაიზარდა 49,2 ათ. ლარით და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 624,3 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 615,0 ათ. ლარი, ე.ი. 9,3 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 98,5 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება მეტობა 12,4 ათ. ლარით, ანუ ზრდამ შეადგინა 2,1 პროცენტი.

5. უმეტვალყუროდ დარჩენილი ცხოველების იზოლაციის სამუშაოების დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 167,0 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად გაიზარდა 61,8 ათ. ლარით და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 228,8 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 226,3 ათ. ლარი, ე.ი. 2,5 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 98,9 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება მეტობა 73,0 ათ. ლარით, ანუ ზრდამ შეადგინა 47,6 პროცენტი.

მთლიანობაში დასუფთავებისა და გარემოს დაცვის სფეროს დაფინანსების მონაცემები გვიჩვენებს გადასახდელების დაფინანსებას 99,3 პროცენტით, დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 2941,4 ათ. ლარს, საკასო შესრულებამ შეადგინა 2919,6 ათ. ლარი, ე.ი. 21,8 ათ. ლარით ნაკლები.

#### IV. განათლება

განათლების გადასახდელების დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 3800,0 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად გაიზარდა 663,9 ათ. ლარით და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 4463,9 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 4431,9 ათ. ლარი, ე.ი. 32,0 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 99,3 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება მეტობა 834,3 ათ. ლარით, ანუ ზრდამ შეადგინა 23,2 პროცენტი. მათ შორის:

1. სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება ა(ა)იპ - თვითმმართველი ქალაქის - ფოთის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანების გადასახდელების დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 3800,0 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად გაიზარდა 258,4 ათ. ლარით და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 4058,4 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 4037,3 ათ. ლარი, ე.ი. 21,1 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 99,5 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება მეტობა 674,5 ათ. ლარით, ანუ ზრდამ შეადგინა 20,1 პროცენტი.

2. სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების რეაბილიტაციის ხარჯების დაფინანსება გეგმით გათვალისწინებული არ ყოფილა, ცვლილებების შედეგად დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 65,2 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 61,5 ათ. ლარი, ე.ი. 3,7 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 94,3 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება კლება 19,8 ათ. ლარით, ანუ კლებამ შეადგინა 24,4 პროცენტი.

3. საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის დაფინანსების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 61,4 ლარს, საკასო შესრულებამ შეადგინა 57,0 ათ. ლარი, ე.ი. 4,4 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 92,8 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება მეტობა 7,9 ათ. ლარით, ანუ ზრდამ შეადგინა 16,1 პროცენტი.

4. საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების დაფინანსების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 278,9 ლარს, საკასო შესრულებამ შეადგინა 276,1 ათ. ლარი, ე.ი. 2,8 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 99,0 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება მეტობა 171,7 ათ. ლარით, ანუ ზრდამ შეადგინა 164,5 პროცენტი.

განათლების სფეროს მშენებლობის სამუშაოებს 2024 წლის 1 იანვრისათვის დებიტორულ-კრედიტორული დავალიანებები არ ერიცხებოდა.

განათლების სფეროს დაფინანსების მონაცემები გვიჩვენებს გადასახდელების დაფინანსებას 99,3 პროცენტით, დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 4463,9 ათ. ლარს, საკასო შესრულებამ შეადგინა 4431,9 ათ. ლარი, ე.ი. 32,0 ათ. ლარით ნაკლები.

## V. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტი

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტის გადასახდელების დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 5280,0 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად გაიზარდა 3296,2 ათ. ლარით და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 8576,2 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 8197,1 ათ. ლარი, ე.ი. 379,1 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 95,6 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება მეტობა 2030,5 ათ. ლარით, ანუ ზრდამ შეადგინა 32,9 პროცენტი.

მათ შორის:

1. სპორტის სფეროს განვითარების გადასახდელების დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 3282,0 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად გაიზარდა 2432,4 ათ. ლარით და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 5714,4 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 5440,4 ათ. ლარი, ე.ი. 274,0 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 95,2 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება მეტობა 1289,6 ათ. ლარით, ანუ ზრდამ შეადგინა 31,1 პროცენტი.

აქედან:  
1.1. სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობის დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 364,0 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად გაიზარდა 254,6 ათ. ლარით და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 618,6 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 617,9 ათ. ლარი, ე.ი. 0,7 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 99,9 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება მეტობა 198,8 ათ. ლარით, ანუ ზრდამ შეადგინა 47,4 პროცენტი. აქედან სპორტული სკოლები:

ა) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - სკოლისგარეშე საგანმანათლებლო დაწესებულება - რაგბის სასპორტო სკოლის ხელშეწყობის გადასახდელების დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 247,0 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად გაიზარდა 228,7 ათ. ლარით და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 475,7 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 475,0 ათ. ლარი, ე.ი. 0,7 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 99,9 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება მეტობა 177,6 ათ. ლარით, ანუ ზრდამ შეადგინა 59,7 პროცენტი.

ბ) თვითმმართველი ქალაქის - ფოთის ხელბურთის კლუბი „ოქროს ვერძის“ ხელშეწყობის დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 117,0 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად გაიზარდა 25,9 ათ. ლარით და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 142,9 ათ. ლარი, საკასო

შესრულებამ შეადგინა 142,9 ათ. ლარი, ანუ 100,0 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება მეტობა 21,2 ათ. ლარით, ანუ ზრდამ შეადგინა 17,4 პროცენტი.

1.2. ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებებისათვის გადასახდელების (ხარჯები) დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 195,0 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად გაიზარდა 84,6 ათ. ლარით და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 279,9 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 239,3 ათ. ლარი, ე.ი. 40,3 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 85,6 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება მეტობა 47,0 ათ. ლარით, ანუ ზრდამ შეადგინა 24,4 პროცენტი. მათ შორის:

1. ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერის პროგრამის ხარჯების დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 25,0 ათ. ლარს, ცვლილების შედეგად შემცირდა 8,0 ათ. ლარით და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 17,0 ათ. ლარი, რაც სრულად დაფინანსდა. აიპ ახალგაზრდულ საბჭოს გადაერიცხა 17,0 ათ. ლარი.

2. შეხვედრების, ახალგ. ღონისძ. და ტრენინგების ორგანიზების ხარჯების დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 10,0 ათ. ლარს, რაც ცვლილებით სრულად შემცირდა.

3. ნიკო ნიკოლაძის სახელობის სტიპენდია (ჯილდო) სტუდენტებისათვის ხარჯების დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 30,5 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად გაიზარდა 15,2 ათ. ლარით და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 45,7 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 33,7 ათ. ლარი, ე.ი. 12,0 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 73,7 პროცენტი. ჯილდოს სახით გაცემულია 33,7 ათ. ლარი.

4. რეგ. სასკოლო ოლიმპიადაში მონაწილეთა ფორმებით უზრუნველყოფის ხარჯების დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 5,0 ათ. ლარს, რაზეც მოთხოვნა არ ყოფილა.

5. წლის განმავლობაში წარმატებული სპორტსმენების და მათი მწვრთნელების ჯილდოს ხარჯების დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 20,5 ათ. ლარს, ცვლილების შედეგად გაიზარდა 87,5 ათ. ლარით და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 108,0 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 92,1 ათ. ლარი, ე.ი. 15,9 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 85,3 პროცენტი. ჯილდოს სახით გაცემულია 92,1 ათ. ლარი.

6. სხვადასხვა სპორტულ და ახალგაზრდულ ღონისძიებებში მონაწილეთა ტრანსპორტირების ხარჯების დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 5,0 ათ. ლარს, ფაქტიურად დაფინანსდა 4,1 ათ. ლარით. ი/მ „ბ. თურქიას“ გადაერიცხა 4,1 ათ. ლარი.

7. დედაენის დღის ღონისძიების ხარჯების დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 5,0 ათ. ლარს, რაც ცვლილებით სრულად შემცირდა.

8. ბოლო ზარისადმი მიძღვნილი ღონისძიების ხარჯების დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 8,0 ათ. ლარს, რაც ცვლილებით სრულად შემცირდა.

9. ზურაბ სარსანიას სახ. ტურნირის ჩატარების ხარჯების დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 9,0 ათ. ლარს, ცვლილების შედეგად შემცირდა 1,7 ათ. ლარით და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 7,3 ათ. ლარი, რაც სრულად დაფინანსდა. შპს „ტვ თოლიას“ გადაერიცხა 7,3 ათ. ლარი.

10. ვ. სუხიშვილის სახ. პირველობა კალათბურთში საჯ. სკოლებს შორის ხარჯების დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 5,0 ათ. ლარს, ცვლილების შედეგად შემცირდა 0,8 ათ. ლარით და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 4,2 ათ. ლარი, რაც სრულად დაფინანსდა. შპს „ტვ თოლიას“ გადაერიცხა 4,2 ათ. ლარი.

